



## თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის ანგარიში

- ✓ ამოცანა  
საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების, ვებინარების და ტრენინგების ჩატარება
  
- ✓ 2021 წლის 1-5 მარტს ონლაინ რეჟიმში ჩატარდა Erasmus+ KA107 პროექტის I ეტაპი, რუმინეთის, პიტეშტის უნივერსიტეტის ორგანიზებით. ღონისძიებაში მონაწილეობდა 68 ქვეყანის წარმომადგენელი, მათ შორის საქართველოდან თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი და ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი (GAU). საერთაშორისო სასწავლო კვირეულს კოორდინირებას უწევდა Erasmus + ოფისის წარმომადგენელი რუმინეთიდან, კარმენ-ანდრეას ბურჯეტი და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი, ქეთი ცერცვაძე. სასწავლო ტრენინგზე, სიტყვით წარსდგნენ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი ელენე კაკაბაძე და სამართლის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლია ჭილაშვილი. ტრენინგის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს პროფესიული გამოცდილება და იდეები. იმსჯელს პანდემიის დროს არსებულ გამოწვევებზე და დასახეს გზები მათ დასაძლევად. რაც შეეხება პროექტის II ეტაპს, პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, საშემოდგომო სემესტრისათვის თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სატუდენტები მობილობით, გაცვლითი პროგრამის ფარგლებში ეწვევიან პიტეშტის უნივერსიტეტს.
  
- ✓ 2021 წლის 19 თებერვალს, თჰუ-ს პარტნიორი ორგანიზაციის „სამართლის მეცნიერთა კავშირისა“ და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ „სამართლის მაცნეს“ ორგანიზებით გაიმართა ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო დისკუსია თემაზე „საზოგადოებათა სამართლის ადგილი სამართლის სისტემაში“ (გერმანული მოდელის მაგალითზე). ღონისძიებას ესწრებოდნენ სამართლის დარგის მეცნიერები,

მკვლევარები, მოსამართლეები და ნოტარიუსები. შეხვედრაზე მოხსენებებით წარსდგნენ მანჰაიმის უნივერსიტეტის სამოქალაქო, სავაჭრო და საზოგადოებათა სამართლის კათედრის გამგე, პროფესორი კარსტენ შეფერი, გერმანიიდან და კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საადვოკატო ბიურო „მიგრიაული და პარტნიორების“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი როინ მიგრიაული, საქართველოდან.

მოხსენებების შემდეგ გაიმართა დისკუსია, სადაც მონაწილეობდნენ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლები არჩილ ლორია, ლია ჭილაშვილი, ლეილა არხომაშვილი და ნიკა დუდაშვილი.

- ✓ ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანი ნონა გელიტაშვილმა მიიღო მონაწილეობა აშაფენბურგის გამოყენებითი მეცნიერების უნივერსიტეტის ონლაინ სიმპოზიუმში 2021 წლის 11 მარტს. სიმპოზიუმში მონაწილეობა მიიღეს მიუნჰენის, აშაფენბურგის და სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა.
- ✓ საერთაშორისო კონფერენცია სტომატოლოგიის მიმართულებით ჩატარდა 4 აპრილს, რომელშიც მიიღო მონაწილეობა ჯანდაცვის ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა ქალბატონმა ლიკა მანიაძემ, სტომატოლოგიის პროგრამის სტუდენტმა სერგო მარტიაშვილმა, სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელმა და საერთაშორისო სამსახურის წარმომადგენელმა. გაიცა სერთიფიკატები.
- ✓ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მარინე შავლაყაძე 2021 წლის 8 აპრილს დაესწო საერთაშორისო სიმპოზიუმს - "Maryland University of Integrative Health 2021 Research Symposium, ასევე 2021 წლის 9 აპრილს დაესწრო საერთაშორისო სიმპოზიუმს თემაზე: "გლობალური ონლაინ სიმპოზიუმი ლაბორატორიაში სწავლებისა და სწავლის შესახებ".
- ✓ ჩატარდა 2 დღიანი ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო კომფერენცია. 2021 წლის 27 მაისს თჰუ-ს კვლევებისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდება „I ონლაინ საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ინტერდისციპლინური კონფერენცია“, რომელშიც მიიღო მონაწილეობა როგორც პროფესორ მასწავლებლებმა ასევე სტუდენტებმა.
- ✓ 2021 წლის 25 მაისს, Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისისა და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, ჩატარდა ვებინარი, რომელსაც საქართველოს 23 უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების 59

წარმომადგენელი დაესწრო. წამყვანი პარტნიორი - დისტანციური განათლების უნივერსიტეტების ევროპული ასოციაცია (EADTU). ვებინარს დაესწრნენ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლებიც: პროფ. ნონა გელიტაშვილი, ასოც. პროფ. ნანა ბიჩენოვი, სოფიო მაგალობლიშვილი და ქეთი ცერცვაძე. ვებინარი შეეხო online სწავლების დროს სტუდენტთა შეფასების საკითხებს, პანდემიის პირობებში არსებულ გამოწვევებს, სწავლების თანამედროვე მიდგომებსა და სხვადასხვა ქვეყნებში დაგროვილ გამოცდილებას.

- ✓ 2021 წლის 28 მაისს ჩატარდა ონლაინ ლექცია პოლონელი პროფესორის კატარზინა პავესკას მიერ. ლექციის თემა იყო „ბუნებასთან ახლოს - ჩამდინარე წყლების გაწმენდა ბუნებრივ გარემოში“.
- ✓ 2021 წლის 2 ივლისს, THU-ში აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის ჩატარდა სემინარი კვლევითი პროექტების დაგეგმვის, კვლევის კომერციალიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე.
- ✓ Stillpoint Spaces International - ის ორგანიზებით, 2021 წლის 1 ივნისს, ჩატარდა ონლაინ სემინარი თემაზე: „ფსიქოანალიზის ინტერპერსონალური ტენდენციები - მიმართებითი ფსიქოანალიზი“ „Interpersonal Trends in Psychoanalysis - Relational Psychoanalysis“ სემინარს დაესწრნენ : ჰუმანიტარული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ეკატერინე სულუხია და ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტი . სემინარი მიემდგვნა ფსიქოანალიზის განვითარების ინტერპერსონალური ტენდენციების ისტორიას, ფსიქოთერაპიის თეორიისა და პრაქტიკის ზოგირთ მნიშვნელოვან საკითხებს. სემინარს გაუძღვნენ - დოქტორი ალექსანდრე დიმიტრიევიჩი, საერთაშორისო ფსიქოანალიტიკური უნივერსიტეტის პროფესორი, კლინიკური ფსიქოლოგი და ფსიქოანალიტიკოსი
- ✓ 2021 წლის 10 ივნისს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტისა და კვლევებისა და განვითარების ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ონლაინ საჯარო ლექცია თემაზე: „ციფრული მარკეტინგი პრაქტიკაში“. ლექცია ჩატარა პორტოს უნივერსიტეტის ეკონომიკისა და მართვის სკოლის პროფესორმა ბელემ ბარბოსამ. ლექცია გაიმართა ინგლისურ ენაზე.
- ✓ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანმა ქალბ. ნონა გელიტაშვილმა და მოწვეულმა ლექტორებმა სოფიო ჯვარშიშვილი მიიღეს მონაწილეობა 2021 წლის 10-11 ივნისს ეკონომიკისა და სოციალურ მეცნიერებათა მე -4 საერთაშორისო კონფერენციაში (ICESS), კონფერენციის თემა: "დიגיტალიზაციითა და დიდ მონაცემთა ანალიზით მიღწეული მდგრადობა და ეკონომიკური ინტელექტი", ორგანიზებული ბუქარესტის ეკონომიკური კვლევების უნივერსიტეტის მიერ

(რუმინეთი).

- ✓ 2021 წლის 16 ივლისს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (გერმანია) ეგიდით ჩატარდა ონლაინ საერთაშორისო კონფერენცია, თემაზე: - „ახალი შეთანხმება გენდერული თანასწორობისთვის“. კონფერენციაზე, სტუმრის სტატუსით მიიღო მონაწილეობა სამართლის ფაკულტეტის დეკანმა, აფილირებული პროფესორმა - ლია ჭილაშვილმა.
- ✓ 2021 წლის ივლისის თვეში საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარდა მე 10 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „მსიფლიო და კავკასია“, რომელშიც მიიღო მონაწილეობა თჰუ-ს აფილირებულმა ასოც. პროფესორმა ეკატერინე სულუჰიამ და ჰუმანიტარული ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ირინე არჯევანიძემ
- ✓ თჰუ-ს ასოცირებული ასოცირებული პროფესორი ნანა ბიჩენოვი 2021 წლის 25-26 სექტემბერს (სოვეტო, სამხრეთ აფრიკა) მონაწილეობდა, როგორც მსმენელი, საერთაშორისო კონფერენციაში „განათლებლასა და სწავლების ახალ ტექნოლოგიებზე“. ნანა ბიჩენოვს გადაეცა სერტიფიკატი და კონფერენციის მასალები კრებულის სახით. კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯები დააფინანსდა თჰუ-ს მიერ.
- ✓ 2021 წლის 23 სექტემბერს, ეკონომიკის, ბიზნესისა და მართვის ფაკულტეტის დეკანმა - პროფ. ნონა გელიტაშვილმა მონაწილეობა მიიღო თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის პარტნიორი აშაფენბურგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტის მეორე ონლაინ სიმპოზიუმში: „ჰიბრიდულ-ციფრული და დასწრებული სწავლების ფორმების წინააღმდეგობის დაძლევის გზები საუნივერსიტეტო და ბიზნეს სფეროებში“ (Symposium „Gestaltung der Netzwerke von Hochschule und Wirtschaft im Spannungsfeld von digital-hybriden und Präsenzveranstaltungen.“ Technische Hochschule Aschaffenburg). 2020-2021 წლებში კორონავირუსთან დაკავშირებულმა შეზღუდვებმა მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვია კომპანიებისა და უნივერსიტეტების საქმიანობაში, განხორციელდა ტექნოლოგიური ცვლილებები, რამაც დიდი გავლენა მოახდინა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო ფორმატებსა და მათი დაგეგმვის გზებზე. მომხსენებლებმა წარმოადგინეს კვლევის შედეგები „პირველი ციფრული სტრატეგიის“ და განვითარების სამომავლო ორიენტირების შესახებ. სიმპოზიუმში მონაწილეობას იღებდნენ მიუნხენის, აშაფენბურგის, კილის, ვიურცბურგის, ბაიროითის და სხვა გერმანული უნივერსიტეტების წარმომადგენლები. საქართველოდან კი - თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტი. სიმპოზიუმის ბოლო ნაწილი დაეთმო ვორკშოპებს, რომლის მსვლელობაშიც აქტიურად ჩაერთო პროფ. ნონა გელიტაშვილი. ვორკშოპი წარიმართა დისკუსიისა და ჯგუფური მუშაობის ფორმატში. სიმპოზიუმი დასრულდა ვორკშოპებზე

მიღებული შედეგების შეჯამებითა და იმ ცოდნის გაზიარებით, რომელიც მონაწილეებმა პანდემიის პერიოდში, ჰიბრიდულ-ციფრული განათლების სფეროში საკუთარი გამოცდილებით დააგროვეს.

- ✓ 2021 წლის 9,10,11 სექტემბერს ონლაინ პლატფორმა ZOOM-ის გამოყენებით ჩატარდა სამართლის, ბიზნესისა და ინოვაციის კვლევების (LBIS) საერთაშორისო კონფერენცია თემაზე, - „განვითარებადი პერსპექტივები სოციალურ მეცნიერებაში“ (ორგანიზატორი დიდი ბრიტანეთი, გაერთიანებული სამეფო, ლონდონი).

აღნიშნულ ღონისძიებას სტუმრის სტატუსით ესწრებოდა თჰუ-ს სამართლის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლია ჭილაშვილი.

(LBIS) კონფერენციაში მონაწილეობდნენ მაღალი რანგის მეცნიერები და მკვლევარები მსოფლიოს 18 წამყვანი ქვეყნიდან,- სამართლის, ბიზნესისა და ინოვაციების კვლევების მიმართულებით.

სამუშაო ჯგუფები დაყოფილი იყო სექციებად, სფეროების მიხედვით. შეხვედრაზე, მსმენელთა მხრიდან დაისვა არაერთი კრიტიკული შეკითხვა, დისკუსიის ფორმატში კონფერენციის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს ახალი მოსაზრებები და იდეები სოციალური მეცნიერებების პერსპექტიულ განვითარებასთან მიმართებით.

კონფერენციაზე წარმოდგენილი სამეცნიერო ნაშრომები გამოქვეყნდება სხვადასხვა საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალში, მათ შორის SSCI, ESCI და Scopus- ში.

- ✓ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მარინე შავლაყაძე 2021 წლის 23 სექტემბერს დაესწრო EURAXESS საქართველოს ეროვნული პორტალის ინაუგურაციის საერთაშორისო ღონისძიებას, რომლის მთავარი თემა იყო მკვლევართა მობილობისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობა.
- ✓ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მარინე შავლაყაძე 2021 წლის 28 სექტემბერს დაესწრო ევროკავშირის ინოვაციებისა და კვლევების ორგანიზაცია EURAXESS-ის ორგანიზებით გამართულ ტრენინგს რეცენზირების თაობაზე.
- ✓ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებულმა პროფესორმა მარინე შავლაყაძემ 2021 წლის 25-26 სექტემბერს (სოვეტო, სამხრეთ აფრიკა) მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციაში „განათლებლასა და სწავლების ახალ ტექნოლოგიებზე“. მან გააკეთა მოხსენება თემაზე: „დისტანციური სწავლება“. მერინე შავლაყაძეს გადაეცა სერტიფიკატი და კონფერენციის მასალები კრებულის სახით. კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯები დააფინანსდა თჰუ-ს მიერ.
- ✓ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

მარინე შავლაყაძე არჩეული იქნა მსოფლიო კვლევითი საზოგადოების მიერ კომიტეტის წევრად, მრჩეველის პოზიციაზე.

- ✓ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი მარინე შავლაყაძე 2021 წლის 9 ნოემბერს (14:00-15:00 სთ) გააკეთა მოხსენება საერთაშორისო ვებინარზე, როგორც მოწვეულმა სპიკერმა. მოხსენების თემა: „The study of the Industrial heavy metal contaminated wastewaters in Georgia“. საერთაშორისო ონლაინ ვებინარის ორგანიზატორი იყო მსოფლიო კვლევითი საზოგადოება და IRAJ-კვლევებისა და ჟურნალების ინსტიტუტი.

✓

## 1. ამოცანა

### კონფერენციების და სტატიების დაფინანსება,

- ✓ გამოიცა თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის პროფესორის, თამარ ჩიტოშვილის სამეცნიერო ნაშრომი სათაურით: „სტანდარტული პირობები საბანკო მომსახურების ხელშეკრულებებში და მისი პრაქტიკული პრობლემები (საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად)

სამეცნიერო სტატია დაიბეჭდა ამერიკის, კენტუკის შტატის ქ. ლუისვილის „ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა საერთაშორისო ჟურნალში“, თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

- ✓ 2021 წელს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ფსიქოლოგია საბაკალავრო პრაგრამის პროფესორ რუსუდან ესებუას დაუფინანსდა თეზისი ელექტრონულ სამეცნიერო პრაქტიკულ ჟურნალში „Way sciences“
- ✓ 2021 წელს ჰუმანიტარული ფაკულტეტის ასოცირებულმა პროფესორმა შორენა კუჭუხიძემ მიიღო მონაწილეობა მე 14 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში , თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.

- ✓ „სამართლის მეცნიერთა კავშირის“ ეგიდით და თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით გამოიცა საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „სამართლის მაცნე“- N2.  
სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრები არიან თჰუ-ს სამართლის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ლია ჭილაშვილი და ამავე უნივერსიტეტის პროფესორი არჩილ ლორია.
- ✓ დაფინანსდა თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოც.პროფესორის ნინო აბაიშვილის სამეცნიერო ნაშრომი სათაურით „კორელაციები ქცევით ფაქტორებსა და პაროდონტის ანთებით დაავადებებს შორის ქართველ სტუდენტთა პოპულაციაში“;
- ✓ თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის ჯანდაცვის ფაკულტეტის ასოც.პროფესორის თეიმურაზ გორგოძის სამეცნიერო ნაშრომი სათაურით „საზარდულის თიაქრის ქირურგიული გართულებების შეფასება“ სამეცნიერო სტატია დაიბეჭდა „ევროპის სამეცნიერო ჟურნალში“
- ✓ დაფინანსდა თჰუს ჯანდაცვის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორის ლიკა მანიას სამეცნიერო პუბლიკაცია სათაურით “პირის ღრუს მიკრობიომი და ჯანმრთელობა”. ნაშრომი გამოქვეყნდა საერთაშორისო ონლაინ ჟურნალში Acta Scientific, საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორების თანაავტორობით (ქეთევან ნანობაშვილი, რუსუდან ივანიშვილი) .

✓ **ამოცანა**

**თანამშრომლობა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან.**

- ✓ 2019 წლის 25 ოქტომბერს გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის მხარდაჭერით ჰამბურგის უნივერსიტეტის ევროპის კოლეჯსა და საქართველოს უნივერსიტეტებს შორის ხელი მოეწერა ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომლის საფუძველზე ჰამბურგის უნივერსიტეტის ევროპის კოლეჯი და საქართველოს 10 უნივერსიტეტი შეთანხმდნენ, რომ განახორციელებენ ერთობლივ პროექტებს ევროკავშირის სამართლის კვლევის მიმართულებით, მათ შორის, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლის გზით.  
თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის დეკანმა ლია ჭილაშვილმა შეხვედრაზე აღნიშნა, რომ საერთაშორისო სამართლის სილაბუსის შემუშავების პროცესში აქტიურად თანამშრომლობდა თჰუ-ს სამართლის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი დავით გეფერიძე.  
ამავე შეხვედრაზე გაიმართა ევროკავშირის სამართლის დამხმარე

სახელმძღვანელოს პრეზენტაცია (ავტორები; ალექსანდრე დევიძე გიორგი მირიანაშვილი), რომელიც შემუშავებულია აღნიშნული სილაბუსის თემატიკის მიხედვით და შეიცავს ამონარიდებს ევროკავშირის მნიშვნელოვანი სასამართლო გადაწყვეტილებებიდან, სადამფუძნებლო ხელშეკრულებების მუხლებს, სავარჯიშო კაზუსებსა და კითხვებს.

წიგნის ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომი იქნება ჩვენს ბიბლიოთეკასა და ვებგვერდზე.

- ✓ წარმატებით დასრულდა მოლაპარაკება იტალიის კერძოდ ინსუბრიას უნივერსიტეტთან. თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტისა და ინსუბრიას უნივერსიტეტის რექტორებმა ხელი მოაწერეს ურთიერთემანხმების მემორანდუმს რომელიც ითვალისწინებს ჯანდაცვის ფაკულტეტის:
  - ადმინისტრაციული ან აკადემიური პერსონალის გაცვლას;
  - სტუდენტების მობილობას მიმდინარე ან მომავალ სემესტრებში;
  - ერთობლივი კვლევითი საქმიანობა და პუბლიკაციები;
  - სემინარებში, კონფერენციებში, ღონისძიებებსა და აკადემიურ შეხვედრებში მონაწილეობა;
  - აკადემიური მასალისა და სხვა ინფორმაციის გაცვლა;
  - სპეციალური მოკლევადიანი აკადემიური პროგრამები
  - ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ERASMUS+ პროექტში მონაწილეობის მიღება სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლით პროგრამებში ჩართულობა.
  
- ✓ 2021 წლის 20-24 სექტემბერს ჩატარდა ხარკოვის საერთაშორისო ფორუმი. ორგანიზატორი, თჰუ-ს პარტნიორი, ხარკოვის იაროსლავ ბრძენის სახელობის ეროვნული იურიდიული უნივერსიტეტი. ფორუმს დაესწრო სამართლის ფაკულტეტის დეკანი, აფილირებული პროფესორი ლია ჭილაშვილი. საერთაშორისო ფორუმში მონაწილეობდნენ მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების ექსპერტები, უკრაინის სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, ცნობილი მეცნიერები და მკვლევარები, ფორუმის ძირითადი თემატიკა, – „უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის სამეცნიერო კვლევის მოდერნიზაცია და უახლესი ტექნოლოგიების დანერგვის პრიორიტეტები“. ონლაინ შეხვედრა პანელური დისკუსიის ფორმატში წარიმართა. ფორუმის დასასრულს მონაწილეთა მხრიდან დაისვა არაერთი შეკითხვა და გაიმართა საინტერესო დებატები.



